№ 64
ოთხშაბათი, 21 მარტი, 1901 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10—	6	6—
11	9 50	5	5 50
10	8 75	4	4 75
9	8—	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი—ერთი შაური
„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1901

ივერია

№ 64
ოთხშაბათი, 21 მარტი, 1901 წ.
რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

შაბათს, 24 მარტს, თელავის მაზრის სოფელ ქისტაურში გარდახდილ იქმნება მეორმოცე დღის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის მგოსნის

თავ. რაფიელ ერისთავის

სულის მოსახსენებლად, რასაც განსვენებულის ოჯახობა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ.
(ა—უ. 3)

ტელეფონი № 741.

საავთიაქო საქონლით მოვაჭრე
ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა ამხანაგობის

დეპო

იმყოფება ტფილისში მუხრანიანთ ქუჩაზე, ქალაქის სამკურნალოს გვერდზე. ამხანაგობა სამკურნალო წამლებისა და სადოსტაქრო მასალა-იარაღის გარდა, ჰყიდის ავადმყოფთა მოსავლელ და ოჯახში სახმარებელ ყოველ გვარ საჭირო საგნებს: სარეცხისათვის, საჭმელებისათვის, ჭურჭლისათვის და სხვ.

დეპოში ბლომად მოიპოვება აგრეთვე საზღვარ-გარეთისა და რუსეთის ცნობილ ფირმების პარფიუმერია და კოსმეტიკა (საპირფარეშო სამკაული).

ქალაქს გარედ მცხოვრებთ შეუძლიანთ ფოსტითაც დაიბარონ რაც დასჭირდებათ (თუნდ მცირედიც იყოს) და ფასი ფოსტაშივე გადაიხადონ.

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, т-во Фармацевтовъ—провизору Алхазову.
(100—43—5)

ადრესი ტელეგრამისა: Тифлисъ „Фармацевтика“.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. ზძელიშვილი. 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^{1}/_{2}$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

სალამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 საათ. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი.—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

გ. ა. თარხანოვი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^{1}/_{2}$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

ო. ტ. არზანიტაკი—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის [illegible]. გედევანიშვილისა
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).
ტელეფონი № 274.
ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეებს გარდა

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

ა. ნ. შატილოვი—თვალისა 11—12 საათ.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე—ბავშვებისა 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

მ. ბ. ბეჟირგანოვი, შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

ვ. ლ. მარკევიჩი, საქირურგო.—$12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$ საათ. სამშაბათობით 3—4.

ი. დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^{1}/_{2}$—2 საათ.

სალამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

ა. ა. ბელოგოლოვი—შინაგანი (სტომაქის ავადმყოფობანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 ს. შინაგან ავადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

მთავრობის განკარგულებანი

ებოძა პოდპორუჩიკობა მე-254 რეზერვის თემირხან-შურის ბატალიონის პოდპრაპორშჩიკს კონჩუაშვილს.

ახალი ამბავი

⁂ ამ წლის გასულს მოსკოვში მოხდება სრულიად რუსეთის მეღვინეთა კრება. კრებასთან ერთად მეღვინეობის გამოფენაც იქმნება გამართული. სასურველია, ჩვენმა მეღვინეებმა მონაწილეობა მიიღონ ამ კრებასა და გამოფენაში.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს ბრძანება გაუცია მაზრებისა, ოლქების უფროსებისა და პოლიცმეისტრებისათვის გააუქმონ კერძო კაცთა კანტორები და კაბინეტები, სადაც „აბლაკატები“ სხვადა-სხვა თხოვნებსა და განცხადებებს უწერენ მსურველთ და ფულს ართმევენ ამისათვის.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფინანსთა, მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროებთან შეთანხმებით გადასწყვიტა, რომ თამბაქოს პლანტაციების მუშების მდგომარეობისა და პლანტაციების სასანიტარო მეთვალყურეობის მოწყობის საქმის განხილვა მიანდოს იმ კრებებს, რომლებიც ადგილობრივ მოხდება გუბერნატორების თავმჯდომარეობით, ზემოხსენებულ სამინისტროს წარმომადგენელთა და ადგილობრივ სამეურნეო საზოგადოების წევრთა თანადასწრებით. ამ საქმის გამო 22 მარტისათვის ტფილისის გუბერნატორმა თავის კანცელარიაში კრება დანიშნა.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, ლაპარაკი იყო აღძრული ქუ-

ფელეტონი

ერი და მამული

2. დედა-აზრი მამულისა

რენანის „რა არის ერის“ გამო

შარლ ბიგოსი

(დასასრული *)

V

გამოტეხილს ვამბობ, რომ ერადობის გრძნობა მარტივის გონებით არ განმიხილავს. არ მივსულვარ იმ ფილოსოფოსთა დარბაისლობამდე,—სპილოს ძვლით მოსადაფებულ მაღალ კოშკებში რომ მკვიდრობენ; არსებითად არც რენანი ჩემულობს ამას, სრულიადაც არა, და ამან მის ნარკვევში ნაკლებად როდი მასიამოვნა. თუ სიქველედ მისაჩნევია, კაცობრიობის საინტერესოდ, თავის მამულის დაზვარაკება, აბრაამის მსხვერპლის განახლება, ჩემთვის ერთობ მაღალი სიქველეა და ვერც დავიჩემებ. მეისტორიეთ არ მიმხედველი ვეხრობი დემოსთენეს ფილიპეს წინააღმდეგ. მისი გამოძიება, თუ ერადობანი როგორ განისახვიან და როგორ ილუპვიან, და მის გამო ძიებაც ყოვლითურთ, რისაც მოტანა შეეძლო ამ სამეცნიერო მიუკერძოებლობის შრომისთვის, განსაკუთრებით იმიტომ დავინახე სასარგებლოდ, რომ გვესწავლა ამ უცოდველის ბატონის მეცნიერებისაგან, თუ ერადობამ, მას შემდეგ, რომ განისახვის, როგორ უნდა გასძლოს. გვეუბნებიან, რომ ჩვენი სათევარი (rôle) დასრულებულა ჩვენ, ფრანგებისათვის და რომ, იმ ერადობათა პირისპირ, რომელნიც აჯანყდნენ ენისა და ეთნოგრაფიის გულისთვის, აღარაფერი დაგვრჩენია, თუ არ ის, რომ გავქრეთ ანუ ჩავცვივდეთ მორჩილებაში, პოლიტიკურ სახელმწიფოთა მეხუთე თუ მეექვსე ხარისხზე ჩამოვხდეთო. არა, შეუძლებელია, და თუ ეს ბედი გვეწია, დამსახურებულიც გვექმნება, ჩვენის ხელით გვექმნება დანიშნული ჩვენი დამხობა.

ჩვენ ერი ვართ! არც მოდგმას, არც ენას, არც გეოგრაფიას, არც პოლიტიკურს ეკონომიას არ შევუქმნივართ. იმას კი ვიტყვი, რომ ყოველივე ეს ემსახურება ჩვენს ერთობას; მაგრამ ჩვენი ერთობა, ერთისა თუ მეორე საქმისათვის, ნაკლებ შექმნილი როდია, თავი და თავიც ეს არის.

ჩვენ ერი ვართ! ილ-დე-ფრანსის, ფლანდრიის, ბრეტანის, გარკონის, პროვანსის, კონტეს, ლორენისა და ალზასის მცხოვრებნი როდი გახლავართ ერთმანერთის ახლო მდებარე ინდივიდუუმნი, რომელთაც გაყოფა შესაძლოა მარჯნის ბუდის ტოტებსავით. ჩვენ ვართ ერთი ზნეობრივი ინდივიდუალობა, ჩვენ ვართ ხალხი, ჩვენ ვცხოვრებთ ერთისა და იმავე აზრებით, გვასულდგმულებს ერთი და იგივე გრძნობანი, ყველას ჩვენ ერთი და იგივე დიდებისა და მწუხარების სახსოვარნი გვაქვს, ერთი სული გვიდგია.

ჩვენ ერი ვართ! ის პირობა, რომელიც ჩვენ ყოველთა შორის არსებობს, თავისუფალ ნებათა პირობა გახლავს. როდესაც უარ-ვყოფთ, როგორც ბოროტ-მოქმედებას, ძალადობას, რომელიც თერთმეტის წლის წინად ჩაიდინეს და რომელიც თორმეტის წლის შემდეგაც, მუდამ ძალადობად რჩება, როგორც წინააღმდეგობის მხნეობამ დაგვანახვა,—ხელი გვაქვსთ, გვემართლება და საზოგადო შემგნებლობაც გვიწონებს.

ამ ერადობის დაცვა, მისი შემოსხმა ერთ დღეს ხელ ახლად ყველა მის შვილთა ფრთებს ქვეშ, როგორათაც კრუხი თავისს წიწილებს შემოისხამს ხოლმე, უპირველესი და უდიდებულესი მოვალეობაა. ჩვენ ვამზადებთ მომავალს, იმედით ველით. ყველა ფრანგები ჭეშმარიტი ფრანგები უნდა იყვნენ; იგინი ბლომად არიან, თუ ერთთავად სიბრძნე და სიმხნე აქვთ, რომ მოუარონ თავის ადგილს დედამიწაზედ და ხელ-ახლა დაიპყრან.

ჯერ უარ-ვყოთ, უარ-ვყოთ ერთხელვე საყოველთაოდ ის საზოგადო ძმობის ოცნებანი, რომელთაც ერთობ შევუცდენივართ. პოლიტიკას კაცთა ძმობასთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს. კაცობრიობა მაშინ გვეძვირფასება, როდესაც ჩინებული ფრანგები ვიქმნებით ჯერ, ვიდრე მის საქმეს სასარგებლოდ ვემსახურებოდეთ. კარგ სამსახურს გავუწევთ მართლა იმ დღეს, როდესაც შეგვჭამს სხვა ერადობა ნაკლებ სულელურად მოაცნებელი.

მაგრამ საჭიროა განსაკუთრებით ერთ წუთსაც არ დავისუსტოთ თავიშინ, პირიქით, გავიმაგროთ ჩვენი კრებულად ცხოვრების დიდი ზამბარაკი, ის, რასაც რენანმა კარგად უწოდა ქვეყნის სული, ის გაურღვეველი სიმტკიცე, რომელიც ერადი შეუგნებლობა არი!

როგორ შეგვიძლიან ამას მივაღწიოთ?

ადამიანთ სიმტკიცე შეიქმნება ყველაფრისაგან, რაც ადამიანთ დაახლოვებს. ბევრი შეგვიძლიან ბრძნულის სჯულებით, სამართლიანის გარდასახადებით, რომ საფრანგეთისაგან შევქმნათ ყოვლად უმდიდრესი ქვეყანა, როგორც იგია ბუნებით ნაყოფიერი, რომ გავუჩინოთ ცხოვრება ერთთავად ტკბილი და ძვირფასი მის მცხოვრებლებს. ბევრი შეგვიძლიან ჭეშმარიტად დემოკრატიულის სჯულებით, რომ შევამციროთ ის ძლიერი ბრძოლა საზოგადოების დასთა, ღარიბისა და მდიდრის, შრომისა და თავნისა (capital), ახალის დროების ერთ საშინელ საკითხავთაგანნი რომ არიან. ის ქვეყანა, სადაც სიმართლე პატივცემულია, სადაც ინტერესები თანაბრად არის დაცული, ძლიერ დაახლოვებია იმას, რომ შინაგანი მშვიდობიანობა შეიძინოს.

ბევრი შეგვიძლიან ჩვენი პოლიტიკური ბრძოლა დავაწყნაროთ. თუ რესპუბლიკა ბრძნულია, ესე იგი, თუ თავის საქმედ საზოგადო ინტერესები გაუხდია, გასძლებს, თუ გასძლო, ყველა ფრანგებს შეარიგებს. დასნი იარაღს არ დაჰყრიან, მაგრამ კი დაძველდებიან და მოიშლებიან. ძენი მამების გულის თქმასა არ ეულებიან. ახალთაობა, რომლისაც მოლვაწეობა თავისს სჯულიერ თანამდებობას ეძებს, მარტო იმის ფიქრშია, მშვიდობა ჩამოადგებინოს მასთან, რასაც მათი მამები შესწყრომიან და შეჰბრძოლებიან. სად არიან დღევანდელი ინგლისელები, რომელთაც კიდევ ახსოვთ, რომ მათნი წინაპარნი მხედარნი ანუ ია-

---

*) იხ. „ივერია“ № 60.

თაისის გუბერნიის დაბა ზუგდიდში შემოკლებულ თვით მმართველობის შემოღების შესახებ. შინაგან საქმეთა სამინისტროს საჭიროდ უცვნია შეეთანხმოს უგანათლებულესს თავადს მინგრელსკის, რომელსაც ეკუთვნის ზუგდიდში მდებარე მიწების უმეტესი ნაწილი, და მომავალ ქალაქს დაუთმოს საჭირო ადგილები ქუჩებისა, მოედნებისა, სასაფლაოებისა და სხვათა გასამართად; აგრეთვე კერძო მემამულეთაც ჩამოართვას პირობები, რომ ისინი უთმობენ თავიანთ მიწებს საზოგადო საჭიროებისათვის. გარდა ამისა, ქუთაისის გუბერნიის მთავრობას დაევალა შეადგინოს სამინისტროში გასაგზავნად დ. ზუგდიდის გეგმა, რომელშიაც აღნიშნული იქმნება მომავალ ქალაქის საზღვრები, კერძო კაცთა მამულები და სხვანი.

⁂ 23 მარტისათვის დანიშნულია საგუბერნიო სასტატისტიკო კომიტეტის წევრთა კრება.

⁂ კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის კომისარი თ ვ. ი. ზ. ანდრონიკაშვილი უკვე შეუდგა ადგილის მოწყობას გამოფენისათვის.

⁂ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების საბჭომ დაავალა ტფილისის საბაღოსნო სკოლის გამგეს პრიტულენკოს ჩააბაროს სკოლის საქმეები და ქონება ამავე სკოლის მასწავლებელს ჯაფარიძეს.

⁂ როგორც მკითხველებმა უწყიან, უმაღლესმა მთავრობამ განიზრახა ბათუმისა და ართვინის ოლქების ქუთაისის გუბერნიისაგან განცალკევება. ამის გამო ეხლა კავკასიის უმაღლესს მთავრობას შეუდგენია და შინაგან საქმეთა სამინისტროსათვის წარუდგენია პროექტი მომავალ ბათუმის ოლქის დაწესებისა და შტატებისა.

⁂ განზრახვა აქვთ ამა მიმდინარე წელს ბაქოს ფოსტა ტელეგრაფის ოლქი ტფილისისა და კავკავის ოლქებს შეუერთონ.

⁂ სამშაბათს, 20 მარტს, დილის 5 საათზედ სასტუმრო „ორიანტის“ ერთს ნომერში უნახავთ ტფილისში ცნობილ კერძო ვექილის უკვე გარდაცვალებულის კ. პლიუშჩევსკის ახალგაზდა გასათხოვარი ქალის გვამი.

⁂ მთა წმინდაზედ, კუს ტბის ზემოდ, დიდი წყარო აღმოჩენილა. ბ-ნ რობის მოუწვევია იტალიელი ოსტატები, რომელთაც უნდა გაიყვანონ ეს წყარო განზრახულ ფუნიკულერამდის. („ახ. მიმ.“)

⁂ ამ რამდენისამე ხნის წინად ბაქოს მდიდარ ნავთის მწარმოებელს გაჯარს თუმაევს მიუცია სავექილოდ რაღაც საქმე ნაფიც ვექილის ყარაბეგოვისათვის; რამდენიმე ხნის შემდეგ თუმაევს ყარაბეგოვისათვის მიცემული ხელშეკრულება მოუსპია. ამაზედ პასუხის გებაში მიცემულ თუმაევის საქმეს განიხილავს დღეს ტფილისის სამოსამართლო პალატის სისხლის სამართლის მეორე დეპარტამენტი, სადაც თუმაევს დაიცავს ცნობილი პეტერბურგელი ნაფიცი ვექილი ბ-ნი კარაპჩევსკი.

⁂ როგორც „ახ. მიმ.“-ს დაბა ზუგდიდიდგან სწერენ, 17 მარტს, დღისით ზუგდიდში ცეცხლი წაჰკიდებია სახლებს. 3 დუქანი და 4 გლეხის სახლი დამწვარა.

⁂ ხარფუხის მცხოვრებთა თხოვნისა გამო, ტფილისის გუბერნატორმა დაავალა ქალაქის მოურავს წარუდგინოს მას ცნობები ამ უბნის უკეთ მოწყობის შესახებ.

⁂ „გზათა მოამბეში“ დაბეჭდილია ცირკულიარი, რომლითაც დავალა სახაზინო რკინის გზების უფროსებს, განკარგულება მოახდინონ, რომ დია ვაგონებიდგან მგზავრთა გადმოვარდნის ასაცილებლად, ვაგონის ორივ მხრიდგან ნახევარ-კარები იქმნას გაკეთებული, სადაც შესაძლოა მიუკეთონ კარებს ხელის მოსაკიდებელნი და ვაგონებს შორის ფანრები დასდგან. ზემოხსენებული ზომები უნდა მიღებულ იქმნას იმ ვაგონებზედ, რომელნიც 1902 წლის 1 იანვრიდგან დაიწყებენ მოძრაობას.

⁂ კავკასიის პირველ სევერსკის ბატალიონის პოდპორუჩიკის მეუღლე ნინო არსენას ასული ოსიპოვისა მისულა პოლიციის მე-3 ნაწილში და განუცხადებია, რომ კვირას, 18 მარტს, ჩემის საკუთარის სახლის აივნიდგან ვიღაც ბოროტ-გამზრახველთ მომპარეს 200 მანეთად ღირებული ქურქიო.

⁂ როგორც ბაქოდგან გვატყობინებენ, საბუნჩის სადგურში მეარღნე გლეხი ს. გრიგორიანცი მატარებელზედ ახტომის დროს გადმოვარდნილა ლიანდაგზედ და ვაგონის თვლებს ორივე ფეხი მოუმტვრევია.

⁂ როგორც ევლახის სადგურიდგან გვატყობინებენ, 19 მარტს, საღამოზედ ამ სადგურის მახლობლად ლიანდაგზედ უნახავთ მატარებლისაგან გაჭყლეტილი კაცი, რომელიც აღმოჩენილა ტფილისელი თათარი მუშა მამედ-ალი იბრაგიმ-ოღლი

ქალაქის საბჭო

19 მარტი

გამგეობის წევრმა ხოსროევმა მოახსენა საბჭოს ქალაქის გამგეობის დადგენილება კავკასიის სამეურნეო და სამრეწველო გამოფენის გასამართად ფულის გადადების შესახებ. გამგეობას დაუდგენია: გადასდოს სამეურნეო საზოგადოების გამოფენისათვის 10,000 მანეთი და 5,000 მან. ქალაქის საკუთარ პავილიონის გასამართავად. საფინანსო კომისიას-კი საჭიროდ უცვნია გადასდოს 15 ათასი მან. გამოფენისათვის, ხოლო 5 ათასი მან. ქალაქის პავილიონის გასამართავად. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა განაცხადა, რომ როცა გამგეობამ გადასწყვიტა 10 ათას მანეთის გადადება, მაშინ გამოფენის პროგრამა არ იყო დამტკიცებული, ეხლა-კი სამინისტრომ, დაამტკიცა რა ეს პროგრამა, შემოსთვალა, რომ სამინისტროს მხოლოდ 4 ათას მანეთის გადადება შეუძლიან მომავალ გამოფენისათვისაო; რადგანაც ეს ფული ძალიან მცირეა, მე პირადად ვფიქრობ, რომ 15 ათასი მანეთი გამოფენისათვის გადავსდოთ და 5 ათასი ჩვენის პავილიონისათვისო. ასეთივე აზრი წარმოსთქვეს ხმ. ბაბოვმა, ქალანთარმა და თავ. ა. მ. არღუთინსკი დოლგორუკოვმა. საბჭომ ხმის უმეტესობით დაამტკიცა გამგეობის დადგენილება და კენჭის ყრით ამოირჩია კომისია გამოფენის მოწყობაში მონაწილეობის მისაღებად. ამორჩეულ იქმნენ ხმოსნები: ი. ს. ალიხანოვი, კ. ი. ალიხანოვი, ა. ს. ბაბოვი, ი. ა. თაიროვი, ბილფელდი და ქოჩორიანცი. ამათ გარდა წინად ამორჩეულ იქმნენ ამ კომისიაში ხმოსნები: ნ. ნ. ოსტროგორსკი და კ. მ. ალიხანოვი.

საჭირო შენიშვნა.

სირცხვილ-კდემა ერთი უკეთესი ნიშანთაგანია ადამიანის პირუტყვისაგან განმასხვავებელი. პირუტყვი, ყოველთვის და ყოველგან, შინ თუ გარეთ, კერძოდ თუ ხალხში, სულ ერთნაირია, ერთგვარად იქცევა და, შიშს გარეშე, არაფერს ერიდება. ადამიანი-კი, მას შემდეგ, რაღაი კაცობრიობას პირველი ნაბიჯი გადაუდგამს გრძნობა-გონების წარმატებისაკენ, კრძალვით შევსილა და სირცხვილ-რიდიც შეუგნია... ხშირად შინ სხვაა და გარედ სხვა. მარტოდ-მარტო თავის თავთან ისეთს რამეს ჩაიდენს, და სრულიად კანონიერადაც, რასაც საჯაროდ ვერ გამოიტანს. არა თუ უწეს რიგობას, სიმართლესა და ჭეშმარიტებასაც კი, დრო და ვითარების შესაფერად, თავის საკუთარი სამოსელი ეჭირვება და მისი საქვეყნოდ შიშვლად გამოჩინება იგივეა, რაც მშვენიერ კეკლუცის უტანისამოსოდ, ტიტვლად საზოგადოებაში გამოსვლა.

სირცხვილ-კდემა ჩვენ ცხოვრებაში აუცილებელი ჯარაა გამწმენდელი და ზნეობრივად ამამაღლებელი და მიტომაც მისი უარ-ყოფა მოუხერხებელია. ვისაც ეს თვისება აკლია, ის უეჭველად ავადმყოფია: ან ტვინ შელახულია და ან „შუბლის კანი გასწყვეტია“, რაც სენზედაც უფრო მეტი სნეულებაა. საუკუნეთა ბეჭდით დამოწმებულის ამ ჭეშმარიტების შეუსმენლობა მოუხერხებელია და მიტომაც ძვირად მოიპოვება მისთანა ერი, რ-მ ბევრი რამ საშინაო, რაც საბაზრო არ არის, საქვეყნოდ გამოაგანგაშოს. ჩვენ წინაპრებსაც, არა თუ შეუგნიათ ეს ცხოვრების კანონი და დაჰმორჩილებიან, თითქმის კიდეც გადაუჭარბებიათ და საკუთარი სიტყვაც შემოუღიათ: „უცხო“, „საუცხოვო“, რაიცა ჰნიშნავს კარგსა და მოსაწონს...

ჩვენ-კი, დღევანდელ ქართველებს, სხვა დანაკლისთან ერთად ესეც დაგვიკარგავს და რაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი შემრცხვენი და საზარალოა, საქვეყნოდ გამოვაქიაქებთ ხოლმე. და დიდის თავ მომწონებით გავიძახით: „დეე, ამით ავუხილოთ თვალი ჩვენს მოყვრებსაო!..“ მაგრამ სად არის თვალის ახელა? ამ გვარის წინ-დაუხედაობით მხოლოდ მტრებს ვაძლევთ მახვილს ხელში, რომ ჩვენისავე მითითებით ჩვენვე დაგვჭრან, დაგვაწყლულონ და, კურდღლისა არ იყოს, ჩვენისავე ქონით თვალები ამოგვწვან. და რუსთველის მოძღვრებას-კი:

„ზოგჯერ თქმა სჯობს უთქმელობას
ზოგჯერ თქმითაც დაშავდებისო“,

მხოლოდ ხანდახან სცენაზე წავიტიტინებთ ხოლმე. ამით მე იმასკი არ ვამბობ, რომ ჩვენ ცხოვრებას ჩინური ზღუდე შემოვავლოთ და ურიგობას ხელი ვაფაროთ!.. პირიქით, საჭიროა, რომ საზოგადო ავი ავად იგმოს და კარგი კარგად იქოს. მხილება წარმატებისაკენ წარმტაცი ძალაა. მაგრამ მხილებასაც თავისი წეს-რიგი და კანონი აქვს. რაში მეპრიანება მისთანა მხილება და გამოაშკარავება, რომელიც სანამ შინ მარგებდეს, უმალ გარედ მავნებს და სრულიად უნაყოფოდ და უსარგებლოდ ჩამაგდებს მტრის ყბაში, რომ მევე გავიკიცხო და ვიზარალო. ჩვენ-კი დღეს უმნიშვნელო რამესაც-კი გაზვიადებულად დიდ მნიშვნელობას ვაძლევთ და ჩვენდავე სამარცხვინოდ სხვების ყბაში ვაგდებთ. ესეც რომ არ კმარა, ხშირად ჭეშმარიტებას

კობიანნი *) იყვნენ. სარესპუბლიკო რომა ტარკვინებს ემემკვიდრა, ხოლო საკეისრო რომა რესპუბლიკას ემემკვიდრა. საფრანგეთის რესპუბლიკას ძლიერ კარგათ შეუძლია აგრეთვე ბურბონებს, ორლეანებს, ბონაპარტებს ემემკვიდროს. რენანი ჰსცდება, როდესაც ამბობს, საფრანგეთმა იხილა საუკუნოვანი მონარქიის დაცემის შემდეგ აგრეთვე სანახავიო, იმ ერთის სულიერისა არ იყოს, გულ და ტვინ წართმეული კიდევ რო ცოცხლებსო. ეს სასწაულები შესამჩნევი როდია არის ზნეობრივ ყოფაში უფრო, ვიდრე ფიზიოლოგიურში. ჭეშმარიტება არის, რომ 1789 წლის მონარქია, თუ გინდ საუკუნოვანიც, არც ერის გული ყოფილა და არც მისი ტვინი. მას აქეთ საფრანგეთი იყო მისი უმაღლესი და გარეშეც, როგორც 1870 წელს საბრძანებლის უმაღლესი და გარეშე იყო საფრანგეთი, თანახმად კარგის სიტყვისა, რომლის სახსოვრად ბევრი რამე ეპატიება ომალის დუკას.

ჩვენ ბევრი შეგვიძლია ჩვენი სარწმუნოებრივი უთანხმოება დავამშვიდოთ. მისი განცხოველება ვიხილეთ ათ უკანასკნელ წელიწადში, რომელიც საშინელის მხნეობით გავიდა. იგი აწინდელის დროების ყოვლად სამძიმო შინაგანი სარკვევია. იმ დღეს, როცა სინიდისის თავისუფლების პრინციპი კარგად გაუჯდება ყველას გონებაში, და გონებიდამ გულში, სარწმუნოებრივი გულისთქმა, ეს უკეთილშობილესი საზრუნველი ყველა სინიდისთა შორის, დარჩება; პროზელიტობა არ მიჰქრება, ერთისა და მეორის გრძნობის რწმუნება არ მისუსტდება. მაინც ვეღარავინ ითხოვს სჯულისაგან მის მოწინააღმდეგეთა დევნას; იმედს შეაგდებს თავისს ერთად ერთს რწმუნებაზედ. ის ამერიკის კათოლიკენი, ათასნაირ მწვალებლობის პროტესტანტნი, უნიტარიანნი, თავისუფალ-მოაზრენი, როგორც ერთნი, ისე მეორენი, ამერიკის თავდადებულნი ძენი არიან. ერთი ამბავი უნდა აღვნიშნოთ საფრანგეთის სასახელოდ. ხელ ახლად გვესმა ლიგის ქადაგება; არ გვინახავს ლიგელთა სარწმუნოების სახელით მიქცევა უცხოეთისადმი, როგორადაც არ გვინახავს, ნახევარ საუკუნის განმავლობაში, დამარცხებული პოლიტიკურის დასისაგან უცხოეთის მოწვევა მფარველად. ჩვენ ერთ თუ მეორე გვარ უთანხმოებას შეუძლია მოშალოს მამულიშვილობის ზამბარაკი: ერადი პატიოსნების გრძნობა ხელ შეუხებელია. ხმამაღლა უნდა ვთქვათ საფრანგეთის ღირსების აღსანიშნავად: მოღალატეთა დრო წასულია.

მამულიშვილობა დაწყნარებას კი არ მოითხოვს მხოლოდ; რაღაცა უმეტესს მოითხოვს. მოითხოვს ყოველის ნებისა და ყოველის მხნეობის თავისუფალს, მოქმედსა და გადაწყვეტილ მეცადინეობას. საკმაო როდია, რომ თანამოქალაქეთა შორის შეძულებული არ იყო: უნდა უყვარდე კიდეც; უკეთ ვთქვათ, უნდა გიყვარდეს ყველა ერთი და იგივე ნივთნი და ის ნივთნიც აგრეთვე, რომელნიც ინდივიდუუმთ აღემატებიან, უპირატესნი, უმეტესნი არიან, ვიდრე ის ინდივიდუუმნი, უხანგრძლივესნი, ვიდრე ის ინდივიდუუმნი. აი, საზოგადო სული მხოლოდ მაშინ გამოჩნდება და აღიგზნება.

სარწმუნოება როდილაა ერთი იმ კავშირთაგანი, რომელნიც ერადობას ამტკიცებენ. როდილა არიან, როგორც ძველ დროში იყო, საერო ღმერთნი გამარჯვებულნი ანუ დამცირებულნი იმ ხალხებთან ერთად, რომელთაც ჰმფარველობდნენ. როდილა არიან ღმერთნი, რომელთადმი თაყვანისცემა რჩეული ანუ აკრძალული უნდა იქმნას მამულის სახელით. ადამიანის სინიდისისაგან გამოხატული გვაქვს სხვა აზრი და უფრო მაღალიც: სარწმუნოების გრძნობა გვეჩვენება გრძნობათა შორის როგორც უფრო თავისუფალი, უფრო ინდივიდუალი. ახალი მამული წმინდად საწუთისოფლო ცნებაა, საქვეყნო ნივთთათვის განსაზღვრული. მაგრამ ამ ნაირად გაგებული კიდევ საკმაოდ დიდია, რომ ყველას გული მიიზიდოს, რომ მბრძანებლობდეს და ყველას თავგანწირულება შეუმსუბუქოს.

მამული როდია მარტო ნიადაგის სივრცე მეტად თუ ნაკლებად დიდი, რომლის გამოხატულებას რუკაზედ ვხედავთ; მამული წარმოადგენს დაწესებულებათა, ჩვეულებათა, ზნეთა ერთობილობას; იგია ადამიანთა ამხანაგობა, რომელიც სხვა ამხანაგობათა გვერდით თავის ღირსების, პოლიტიკურის გავლენის, სჯულიერის ძალის ხვედრს მოითხოვს. იგი მდგომარეობს, რაც ყველამ ადრიდგანვე უნდა ვისწავლოთ, სიყვარულში, მოვლაში, დაცვაში.

მამულიშვილობას აზრდა უნდა ჰკვებავდეს. ყველამ პირველად სამშობლო ენა უნდა ვისწავლოთ. ენა დროშათაგან უპირველესია, ერთობის ყველა ნიშანთაგან უცხადესი. მისმა უპირატესობამ კიდევ უფრო იმატა მას აქეთ, რაც მოიგონეს ბეჭდვა, რომელსაც გააქ-გამოაქვს და ამრავლებს აზრს საოცარის სისწრაფითა და ძალით. ამ მუხლის შესახებ მე მთლად ვეწინააღმდეგები იმას, რაც რენანმა სთქვა. არა, არა კმარა სხვა და სხვა ენით ერთი და იგივე რამე იფიქროთ; საჭიროა ერთმანერთს გააგებინოთ. ეს ყოფილა ფრანგულის აღზრდის უდიდესი დანაშაული იმდენ საუკუნეთა განმავლობაში, რომ არ შეჰბრძოლებიან ფლამანდურს, ქვემო ბრეტონულს, ბასკურს, დასავლეთის, შუაგულის ანუ სამხრეთის პატუებს, რომ ნება მიუციათ ფრანგულის გაუგებარი ფრანგები ყოფილიყვნენ. გერმანელთა მიერ დაპყრობას რომ შესძლებოდა და უხუმარ საშიშროებას დაგვმუქრებოდა, ენისაგან გვეწეოდა ის საშიშროება.

სამშობლო ენასთან საჭიროა, რომ აღზრდამ ყველას მამულის ისტორია ასწავლოს. ეს პოლიტიკური, ზნეობრივი, საზოგადოებრივი, ფილოსოფიური ისტორია ყოველის გაკვეთილის სული და გული უნდა იყოს. საჭიროა, რომ ყოველმა ფრანგმა იცოდეს, თუ რა უკეთებიათ მის მამა პაპებს, რა უკუღმართობა შეხვედრიათ, რა მწუხარებით ტანჯულან, რომ სცხოვრებდეს ბოლოსაც მათ

---

*) ინგლისის მეფის იაკობ II სტუარტის მომხრენი.

ვღალატობთ და ცილსა ვწამებთ ჩვენს საკუთარ საქმეებს. ეს მისი ბრალია, რომ „კერძომ“ ჩანთქა „საზოგადო“ და ჩვენ, რაც ჩვენთვის საჭიროა, მხოლოდ ისა გვგონია ქვეყნისთვისაც სასარგებლო. საზოგადო სარბიელი საპირადო ბაზარ მოედნად გადაგვიქცევია, ჩვენ საკუთარ სასარგებლოდ, დამპალ-დამჩიჩულ ხამებს აბრეშუმეულ ოქრო-ქსოვილებად ვასაღებთ და სხვებისას-კი ფარჩა-დაბასაც ვუკიჟინებთ.

ჩვენი „ვითომ-და მოწინავე წრე“ დას-დასებად არის დაყოფილი და საზოგადო საქმეს ხელ-საწმენდად და პირ-საფარად ჰხმარობენ... გარეთ ღვირესაც არ აქცევენ ყურადღებას და შინ-კი ბეწვზედაც განგაშს უკვრენ.— „კაცს თავსა სჭრიდნენო და ის მუწუკსა სჩიოდა და გაიძახოდაო“, ამისი არ იყოს, ჩვენის დღევანდელ მეთაურების მოქმედება სწორეთ რომ ნადირობაა!.. გამოიგდებენ ერთს ვისმე მოედანზედ, რაიმე საპირადო ანგარიშით, მიუტევენ მეგობრებ-მოყვრებს დაჰსძახებენ: „ჰკამაგასო!“ და ატყდება დაუსრულებელი ყეფა!.. ყურთა სმენა წაღებულია! დღეს ერთს დასდევენ, ხვალ მეორეს, ზეგ მესამეს. და ამ გვარად. დღეს ჩვენში ქვეყნის ორგულადა და მოღალატედ დასახვასა და დასახელებას ბევრი არა უნდა რა, საკმაოა მხოლოდ უტიფრადა და ურცხვად სხვის გულში ბატონურად ხელის „ფათური და უსაფუძვლო მოსაზრება: ეს ჯილდოს ელის, ის გიჟია, ამას ლამაზი ცოლი ჰყავს, იმან სხვაგან ისადილაო და სხვანი... სამწუხარო ის არის, რომ ამ „ოქოქაანთ ქორობას“ ჩვენი ჟურნალ-გაზეთები მხარს უჭერენ და ქვეყანას გზასა და კვალს უბნევენ. ხალხს მტყუან-მართალი ველარ დაუნახავს და ნამდვილი მოჩვენებულისაგან ველარ გაურჩევია. ჟურნალ-გაზეთები ხელში ველარ აგვიღია შიშით!.. სულ კერძოობა, სულ პირადობა, წვრილმანი ანგარიშები და ურცხვი თავხედობა... და ნეტავ! როდის მოეღება ბოლო ამ სნეულებას?!

აკაკი

* * *

დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ს. სუფსა (გურია). რკინის გზის გაყვანამდე ახლანდელი კოშკია სუფსის არე მარე ტყით დაფარულს ჭაობებს წარმოადგენდა, სადაც ადამიანისათვის არა თუ მოსახლეობა ცხოვრება არ იყო შესაძლებელი, გზად გავლაც-კი საძნელო იყო. რკინის გზის გაყვანის შემდეგ ტოტ-ტოტაობით ტყის კაფვა და სიმინდის თესვა დაიწყეს, რამაც ადგილების გაშრობას ხელი შეუწყო და მალე სადგურის მახლობლად მოსახლეობაც კი შესაძლებელი გახდა. ყველამ ვიცით, რომ უკანასკნელს წლებში სოფლელთაგან სოფელს ბევრი თავს ანებებს და ქალაქისა და რკინის გზისაკენ მიეშურება. სუფსის ახლო მახლო მდებარე სოფლებშიაც მალე იჩინა თავი ამგვარმა მოვლენამა და მალე მგონი აქ პატარა ქალაქიც გამოიჭიმოს. პირველად მდინარე სუფსის მარცხენა მხარის მცხოვრებნი სადგურს მოწყვეტილნი იყვნენ ხიდის უქონლობისა გამო, მაგრამ შვიდ-რვა წლის წინად ბ. ნის ივანოვის თაოსნობით გაკეთდა ხიდი, რამაც სუფსაში ვაჭრობა-აღებ მიცემობას და საერთო წინმსვლელობას ხელი შეუწყო. ამას შემდეგ ეს საქმე განაგრძო ბ-ნმა ა. ა. ანტონოვმა, ახლანდელმა სადგურის უფროსმა და შემოსავლელი გზატკეცილის გაკეთებით დაამთავრა საქმე. მას შემდეგ სუფსა იზრდება და სცდილობს სხვებს უკან არ ჩამორჩეს.

4 მარტი სუფსელებისათვის ღირსშესანიშნავი დღე იყო. ამ დღეს სუფსელებმა ადმინისტრაციის, სამოსწავლო უწყებისა და თავად-აზნაურთა წარმომადგენლების თანდასწრებით განაჩენი დაადგინეს, რომ ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი დაარსონ. შუადღისას ყველანი წიგნთ-საცავის ეზოში შეიკრიბნენ და განაჩენს ერთ-ხმივ ხელი მოაწერეს. სხვათა შორის, თ-დმა ვახტანგ გურიელმა ფრიად საგრძნობი სიტყვით მიჰმართა შეკრებილს საზოგადოებასა და დახმარება აღუთქვა. ადგილობრივმა მცხოვრებმა ბ-მა სილოვან გურგენიძემ მშვენიერ ადგილზედ ერთი ქცევა მიწა შემოსწირა სკოლის შენობის დასადგმელად. ამ კაცმა სამრევლო სკოლის დაარსებაშიაც მხურვალე მონაწილეობა მიიღო და ბევრი ხარჯიც გასწია, მაგრამ როგორც თითონ სთქვა, „ამ სკოლას მისი იმედები ვერ გაუმართლებია“ და ახლა სამინისტრო სასწავლებლის დაარსებასა სცდილობს. დღევანდელი იმისი შემოწირულება ჰღირს არა ნაკლებ 500 მანეთისა და სკოლისათვის ეს ადგილი დაუფასებელია თავისის მშვენიერის მდებარეობით. მადლიერი საზოგადოება დაიხსომებს ამ უხვს შემოწირულებას, არასოდეს არ დაივიწყებს, თუ რომ სასწავლებლის დაარსებას გვღირსეთ. ღმერთმა ჰქმნას, სილოვან გურგენიძეს მიმბაძველნი აღმოსჩენოდნენ! სადგურის უფროსმა ბ. ნმა ა. ა. ანტონოვმა დამსწრეთ აღუთქვა: სკოლას წარმოდგენების გამართვით და შეწირულების მოგროვებით დავეხმარებიო. სწორედ რომ განსაკუთრებულის მადლობის ღირსია ეს კაცი: შორიდგან მოსული რკინის გზის მოხელე, რომელსაც ჩვენი „ინჩიც“ არ ესმოდა, სცდილობს დაგვეხმაროს და ჩვენში კეთილი სახელი დასტოვოს. ჯერ იყო ეკლესიას უწევდა შესაფერს დახმარებას, დღეს ჰპატრონობს წიგნთ-საცავს, სადაც ყველა ტფილისელ პერიოდულ რუსულ-ქართულ გამოცემათა გარდა, პეტერბურგის გაზეთსაც ჰხედავთ, და კიდევ გვპირდება: ოღონდ დაიწყეთ, დახმარება მე მკითხეთო. უყურებთ ასეთს მაგალითებს და მწარე ფიქრებს ეძლევით, როცა გაიხსენებთ, რომ გარეშე პირი ხშირად ასე გვეხმარება და შინაურნი-კი ხშირად ერთმანერთს გვწიწკნით და ჩვენისავე საკეთილდღეო საქმეების ჩაშლასა ვცდილობთ რადაცა პირადის მოსაზრებით. განა ცოტაა ასეთი მაგალითები ჩვენში?

იმედია, განაჩენს მთავრობა დაამტკიცებს და მალე სუფსა საკუთარის ორკლასიანის სასწავლებლით ჩოხხათსა და მიქელ-გაბრიელს გვერდში ამოუდგება. იმედია, მალე ამ განათლების პატარა ლამპარს იმ ადგილზედა ვნახავთ, სადაც ამ ოცის წლის წინად მხოლოდ ჯვარედ ან მუხურედ მეჯოგე მეგრელის „უპუ“ და იმისს „უურშავს“ მოწყენილი ყმუილის მეტი არა გაისმოდა-რა; ვნახავთ, იგივე მეჯოგე თავისს პაწია შვილს როგორ მოიყვანს ამ სკოლაში და სწავლის სხივს ჩაუშუქებს გულში, და ვიტყვით:

„ღმერთო, აკურთხე ამ ყრმისა ძალნი,
ხალხთ სამსახუროდ მიეცი ღონე“...

ვ. სეფისპირელი

* * *

რუსეთი

მთავრობამ დაამტკიცა ის წესები, რომლითაც პენსია მიეცემათ სახელმწიფო მთა მადნების მუშებს დაშავებისა და ავადმყოფობის დროს.

— მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს გარდაეცა განსახილველად ორი წესდება მთა-მადნებში მოსამსახურეთა უბედურ შემთხვევებისაგან დაზღვევის საზოგადოებისა.

— როგორც მკითხველებმა დეპეშებიდგან უკვე უწყიან, მთავრობამ გააუქმა „რუსულ ლიტერატურულ საზოგადოებასთან“ არსებული „რუსს მწერალთა ურთ-ერთ დამხმარებელი კავშირი“ კავშირი დაარსებულ იქმნა 1896 წელს; პირველი კრება დამაარსებელთა მოხდა 25 იანვარს. უკანასკნელად კავშირში 482 წევრი ირიცხებოდა“.

— კავკასიის ყინულების გამომკვლევს ბუშს წარუდგენია რუსეთის საგეოგრაფიო საზოგადოებისათვის დაწვრილებითი ანგარიში იმ გამოკვლევათა, რომლებიც სამის წლის განმავლობაში მოუხდენია კავკასიის მთებში.

— ფინანსთა სამინისტროს აზრადა აქვს ქარხნებთანა და ზავოდებთან დააარსოს სკოლები მუშათათვის. სამინისტრო უკვე შეუდგა ამ სკოლების ნორმალურ დებულების შემუშავებას. დებულება შეეხება სკოლებს, კითხვებს, კურსებს, სადამოს და საკვირაო სკოლებს და სხვა.

— რკინის გზების მკურნალთა კრებას შუამდგომლობა აღუძრავს რუსეთის რკინის გზებზედ წინად ყოფილ კონდუქტორ სანიტართა თანამდებობის კვლავ შემოღების შესახებ.

— გზათა სამინისტროს ინჟინერთა საბჭოს გარდაეცა განსახილველად ყველა სადგურთ მოსამსახურეების სამუშაო დღის მოწყობ-რიგების საქმე. აქამდის მოწყობ-რიგებული იყო მხოლოდ მეისრეთა და კონდუქტორთა სამუშაო დღე და არ იყო სადგურის აგენტთა სამუშაო დღე განაწილებული.

* * *

უცხოეთი

ინგლის-ტრანსვაალის ომი. როგორც სამხრეთ აფრიკიდგან მიღებულ „Times“-ის დეპეშებიდგანა სჩანს, ინგლისის ადგილობრივნი მოხელენი ორ წლამდე ომის გათავებას არ მოელიან თურმე. ბურების მხრივ ასეთ გაუტეხელობასა და წინააღმდეგობას ინგლისელები სავსებით მათს ხასიათსა და უკულტურობას აწერენ; უფრო მეტად განვითარებული და კულტუროსანი ერი იარაღს დღემდისაც დაჰყრიდა.

კიტჩენერის მიერ გამოგონილი სისტემა ქვეყნის მოოხრებ-მოტიალებისა ინგლისელებსვე უხერხულადა და გამოუსადეგრად უცნიათ და შემოაქვთ თურმე სრულიად ახალი სისტემა ქვეყნის ჯარებით დაჭერისა: დადალულსა და გამოუსადეგარს ჯარს ახალი შესცვლის და ყველგან სამყოფი ჯარი იქმნება ჩაყენებული. ჯერ-ჯერობით ორმოც-დაათი ათასი კაცია ამისათვის საჭირო. დღე დღეობით ბურების მხრივ 20 ათასამდე კაცია საბრძოლად შეიარაღებულიო.

საფრანგეთი. ეს არის ამ დღეებში ძლივს ეშველა ეგრედ წოდებულ სარწმუნოებრივ კონგრეგაციებისა და სხვადა-სხვა ასოციაციების შესახებ კანონპროექტის პალატაში გარდაწყვეტას. მელინის მომხრენი და კლერიკალები ყოველსავე ღონისძიებას ხმარობდნენ,

---

შორის, რომ იგინი განახლდებოდნენ მას შორის. სკოლის მამულიშვილურის აღზრდის შემდეგ დადგება ჯარის მამულიშვილური აღზრდა, რომელიც დისციპლინასთან, პატიოსნებას, თავის უარყოფას, თავგანწირულებას და სიკვდილის შეუპოვრობას ასწავლის. მაგრამ ყოვლად საჭიროა, რომ ერთს წუთსაც დაბადებით სიკვდილამდე, ერთ წუთს არ მიატევოს ინდივიდუუმი ამ პატიოსნურმა აღზრდამ და არ მისცეს მას მარტო თავის ფიქრის ნება. როგორც ოჯახში მოწიწებით ინახვენ საერთო სახსოვართ, როგორც ჰმართვენ წლიურ დღესასწაულებს, როგორც იკრიბებიან ცნობილ დღეებში, ისე მე ვითხოვ, რომ ერშიაც სიმტკიცე, პირწყლიანობა განუწყვეტელ ფიქრად იყოს. როგორც ფიზიკური გატაცებაა, იმნაირადვეა ზნეობრივი გატაცებაც. იგი როდია მაღალი აღტაცება აქა იქაური, რომელიც საკმაოა ჭეშმარიტ მოქალაქეთა დასაბადებლად. სიქველე ლაღი, განმარტოებული მოქმედება როდია; სიქველე კეთილის საქმის მონიჭებული ჩვეულებაა.

მე ვითხოვ, რომ მამული თაყვანსაცემი იყოს; რომ სკოლაში, ჯარში, ცხოვრებაში ეს თაყვანსაცემი დიდებულ იქმნეს, როგორც ჯერ არს; მე ვითხოვ, რომ ყველა თანაბრად ცნობილ დღეთა ნაცვლად დაწესდეს მხიარულების დღენი და სხვები-კი მწუხარების დღენი; როგორც ეკლესიასა აქვს თავისი ცერემონიები, იმნაირადვე ვითხოვ, რომ მამულის თაყვანისცემასაც ჰქონდეს თავისი, ყოველთა გულთა ერთისა და იმავე გრძნობით შემაერთებელი. განათლებულნი გრძნობანი ძმობას შეჰქმნიან. რენანმა საკვირვლად სთქვა, თუ მამულიშვილობა, რაც გაჰყოფს, მთლად მისი დავიწყების ნაყოფია— არც მიტევების კარგს სიტყვასა აქვს სხვა აზრი—იგია, რაც დაახლოვებს მთლად მისი ცხოველის ხსოვნის ნაყოფიც არის აგრეთვე.

სრულიად არ ვშიშობ, რომ საფრანგეთი გაამტყუნონ ამნაირად მოქმედების და იმის ძიებისათვის, რომ ყოველის გულზედ იმოქმედოს; განაწესიეროს იგინი ერთგვარის გულის მთქმელის მორჩილებითა. ამნაირ დისციპლინასთან საფრანგეთის ერადობას საქმე არა აქვს. ჩვენთვის საჭიროა, მივმართოთ მარტო თავისუფალ შემგნებელობას, მარტო დიდსულოვნებას და ვინც ამ განარკვს მიიღებს, მარტო მათ გონებას უნდა ვეძებდეთ მხოლოდ მათზედ გავლენას, რომ გულში ჩავუნერგოთ მამულიშვილობა, რომლის შეგონებაც გვწადიან, მამულიშვილობა თავისთავად აღორძინდება. საფრანგეთს შეუძლიან თავისი შვილები აიყვანოს თავისის სარჩიელის მსაჯულებად. თავის სისუსტის, ნაკლულევანების, ბრალიანის გატაცებულების არ მიმხედველს შეუძლია სინიდისი შვილთა წინაშე ამაყად განიცადოს, შეუძლიან თავისი ცხოვრება სრულიად, დაუფარავად უამბოს. აღსარებას რომ გაათავებს, შეუძლიან ყველას კადნიერად უთხრას: „აი, ამისთანა ვყოფილვარ, ამისთანა ვარ, გიყვარვართ თუ არა? გინდათ, თუ არა შეინახოთ ჩემი სახელი? ჩემს საქმეს გინდათ, თუ არა შეუდგეთ? გაქვთ გადაწყვეტილი თუ არა დამიცვათ, თუ ვინმე თავს დამესხმის? ყველანი ერთხმად ღაღადს ჰყოფენ: „წმიდა დედაო, ძალგიძს ჩვენი იმედი იქონიო“!

განვითარება ახალგაზდა ფრანგის ვაჟის სულისა, ჩემ ხელთ რომ ყოფილიყო,—სრულიად არა ვყოფ აქ ფრანგის ქალებს ფრანგის ვაჟებისაგან,—ჩემს თავს ძალას არ დავატანდი სიძულილი ან შურისძიება ჩამენერგა მის გულში. ვკმარებდი ამ მუხლის შესახებ ყმაწვილისთვის განმეორებას, რომ ადამიანის პირველი კეთილშობილება სიმამაცეა, რომ პატივცემულ ყოფა ნამდვილად ემართლება მხოლოდ იმას, ვისაც შეუძლიან თავისის თავის მფარველობა. ამას რომ მოვრჩები, ვასწავლი საფრანგეთის სიყვარულს და მით ვაჩვენებ, თუ რა სწადებია და რა აღუსრულებია მას აქეთ, რაც მას საფრანგეთი ეწოდა. მის ნამდვილ სურათს ჩავუსახავ გულისა და გონების სიღრმეში, ვაჩვენებ, თუ, საუკუნით საუკუნეთ, ადამიანურის მოღვაწეობის ყოველ სახეთა პირისპირ როგორ შესდგომია თავის საქმეს კაცობრიობის საპატიოდ იმდენად რამდენადაც თავისი საკუთარის დიდებისათვის. არც ერთის ხალხის ცხოვრება არა ყოფილა მეტად აღელვებული; მას ამოუყვანია რამდენიმე ნიავქარი, რომელსაც დაუმხვია იგი. მაგრამ თუ ყოფილა იგი ამაო დიდების მოყვარე, ამაყი, მზა თავის და სანებებლად გიჟურის აღტაცების შემდეგ, ორი რამეა მაინც, რასაც წუნი არ დაუდვია მისთვის: გულის კეთილშობილება, თავდადება მისთვის, რაც სამართლიანი და ჭეშმარიტი ჰგონებია. XV საუკუნეში წყვდიადითგან ამოვიდა უსაკვირველესის სულმნათობით, რომელიც-კი ოდესმე გამოსჩენია რომელსამე ხალხსა. მე-XVI საუკუნეში აღორძინების დროშას მატარებელი იყო. მე-XVIII საუკუნეში კაცობრიობის, მეცნიერების, თავისუფლების საქმისთვის მებრძოლი. პირველად ღაღად ჰყო, რომ ადამიანს სიმართლენი ჰქონდა. ახალის განათლების უძლიერესი მუშაკი იყო. ახლაც არის კიდევ ქვეყნის ამწევი საფუარი. სხვა ერნი მარტო თავიანთ თავისთვის ჰფიქრობენ, საფრანგეთი-კი განსაკუთრებით სხვისთვის ჰფიქრობდა. ევროპა უთავო დარჩება, საფრანგეთი რომ გაჰქრეს ერთა სიისაან. ჩვენ შეგვიძლიან ჩვენი მამული შევადაროთ ყველა სხვა მამულებს: მათ შორის არც ერთია, რომელიც იმდენად იყოს კეთილ-შობილი, იმდენად დიდ ზნეობიანი, იმდენად ღირსი მის, რომ მისდამი კუთვნილება სასიქადულოდ მიაჩნდეთ. ფრანგული მამულიშვილობა უნდა მოასწავებდეს, როგორც, ათინელთ დიდნი ხმანი მოასწავებდნენ ათინისადმი სიყვარულსა; ჩვენც შეგვიძლიან აგრეთვე ვთქვათ, რომ ჩვენი სჯული უფრო სამართლიანი, უფრო ჩჩვილი და უფრო ადამიანურია; ჩვენც შეგვიძლია ვთქვათ, რომ ჩვენის მამებისაგან მიგვიღია მოწოდება. რომ როგორც მათ უმალ, ისე ჩვენც დავიცვათ უწმინდესი და უმაღლესი საქმენი; ჩვენც შეგვიძლია აგრეთვე შევაერთოთ იმავე თაყვანისცემით და იმავე ფიცით მარათონს მკვდრები და ქერონეს მკვდრები!

ვ. მ.

* * *

რომ საქმის გარდაწყვეტა როგორმე შეეგვიანებინათ და რაიმე შემთხვევით ესარგებლნათ, რომ ვალდეკ რუსსოს სა მინისტრო როგორმე დაემხოთ, მაგრამ ცდამ უქმად ჩაუარათ. ამის მიდინში კანონ-პროექტის თვითოეულს მუხლზე დაუდალავი მთავრობის მოწინააღმდეგე მოლაპარაკენი ვინ იცის რა კითხვებს არ იძლეოდნენ, რა ხრიკებს არა ხმარობდნენ, რომ სამინისტროს მომხრეთა უმეტესობა როგორმე დაეცარათ, დაეძლიათ ჩვეულებრივნი მჭერ მეტყველნი: რიბო, კიუნეო და ორსანს, ჟავვიუ, რენო მორლიერ, ადიკო, პრამი და სხ. ერთი მეორეს აღარ აცლიდნენ და იცავდნენ თავისსა თუ სხვის აზრს განურჩევლად, რომ ვალდეკ-რუსსო და მომხსენებელი კომისია წინააღმდეგობაში დაეჭირათ, საქმის არცოდნაში ემხილებინათ. მაგრამ, როგორც ზემოდაც ვთქვით, ამ ხრიკებით იგინი ვერასფერს გახდნენ. ერთად ერთი მათი სალაპარაკო იყო მხოლოდ ის, რომ მთავრობას უციყანებდნენ — ერთობ იწრო ფარგალში გსურთ მოაქციოთ ყველაფერიო და აქებ-ადიდებდნენ კონგრეგაციების დიდებულს საზოგადოებრივს დანიშნულებას, მისს ქველ-მოქმედებასა და იმ გავლენას, რომელსაც კონგრეგაციების სხვა-და-სხვა მისსიები საზღვარ-გარეთ იჩენენ. მაგრამ ტრულომა და ვალდეკრუსსომ თავისს მხრივ პალატას გადუშალეს ნამდვილი სურათი კონგრეგაციების მოქმედებისა, რომელმაც ყველანი დიდად გააკვირვა და თვითონ კლერიკალებიც. როგორც მთავრობის ამ ბოლინდელ გამოკვლევიდგანა სჩანს, საფრანგეთში ყოფილა სულ 2,500 კონგრეგაცია, რომელთა მოღვაწეობასაც დღევანდლამდე ქველმოქმედებისა და სულის საცხონებელ საქმეების ნაცვლად შეადგენდა სხვა და სხვა გვარი სავაჭრო და სამრეწველო საქმე. ამათგან ბევრს პატენტიც-კი ჰქონია აღებული და საქმე ისე უწარმოებია. 2500 კონგრეგაციიდგან 600 დედათა და ბავშვთა შრომას მუქთად თურმე იყენებდა და „კეთილი მწყემსისა" გვარად მაღაზიებს იაფ ფასად მზად შეკერილს ტანისამოსსა და საცვლებს თურმე აძლევდა, რაიცა მკერვალ-ქალებსა და კაცებს დიდს მეტოქეობას უწევდა, სულს აღარ უდგამდა. 298 მონასტერს სხვა-და-სხვა ჩითეულობითა და საქონელით ვაჭრობა ჰქონია გაჩაღებული და უვაჭრია აგრეთვე სამკურნალო ბალახებით, 95 აფთიაქი ჰქონია გახსნილი, 42 მრეცხველობას თურმე მისდევდა, 2 ქალებისათვის იაფ-ფასიან სამკაულებს თურმე ამზადებდა ფაბრიკებში, 4 დუდის სახელი ქარხნები ჰქონია, 8 აბანოები ჰქონია, 6 დიდი ღვინით ვაჭრობა, 5 ასეთივე ვაჭრობა სპირტეულობითა და მაგარის სასმელებით, 20 სხვა-და-სხვა წვრიმალი სასმელის დუქნები ჰქონია, 5 მოწყობილი, გასაქირავებელი ოთახები, 2 ღორებით ვაჭრობა დაუწყვია, 2 კიდევ წვრილი ვაჭრობა დაუწყვია იარმუკებსა და სხ. ბაზრებში... დასასრულ, როგორც ზევაესი და აბბატი გეირო ამტკიცებენ, იეზუიტებსა ანუ ლაზარისტებს შანხაიში თამბაქოს ფაბრიკაც გაუხსნიათ, და ჰქონიათ აგრეთვე საგანგებო სახლები, სადაც უგვარდგვარი საეჭვო და უზნეო ხალხი თურმე იყრიდა თავს!! ერთი სიტყვით, მთავრობის გამოკვლევამ აღმოაჩინა, რომ კონგრეგაციების უმეტესობა უსაძაგლეს სავაჭრო და სამრეწველო საქმეს თურმე ადგა და საშუალებას კი ყველა ამისათვის ქველმოქმედებისა და სამადლო, სღმრთო საქმეთა სახელით ჰკრებდნენ ხალხში, რომ მრავალი მათგანი ამზადებდა და ჰყიდდა საგნებს, რომლებიც ჯანმრთელობისათვის მავნებელნი არიან და კათოლიკეთა სარწმუნოებით აღკრძალულნი. რაც შეეხება შემოსავალს, იგი თურმე ჰხმარდებოდა ერთის მხრივ, რომის კურიას, მეორე მხრივ, მონარხისტებსა და მათს საქმეს და მესამე მხრივ, რესპუბლიკის საწინააღმდეგო ბრძოლასა და კლერიკალთა დასისა და გავლენის გაძლიერებას საზოგადოებაში. პალატამ უარჰყო მელინის მომხრეთა და კლერიკალთა ყოველგვარი ხრიკები და მოსაზრებანი და დაამტკიცა და მიიღო ყოვლად შეუცვლელად 13 მუხლი კანონ-პროექტისა ისე, როგორც საპარლამენტო კომისსიამ მთავრობასთან შეთანხმებით შეიმუშავა. კანონ-პროექტი სავსებით იქმნა მიღებული.

ინგლისი. „Westminster Gazette" აფრთხილებს თავისს ქვეყანას ძველს სიძულვილს რუსეთის მიმართ არ დაუბრუნდეს და, თუ რომ რუსეთსა და იაპონიას შორის განხეთქილება იჩენს თავს, იაპონიას არ დაუახლოვდეს. გაზეთი სრულიად შემცდარათა სთვლის იმ აზრს, ვითომ იაპონიის გამარჯვება რუსეთს მანჯურიის შთანთქმაში ხელს შეუშლის და ბეწვის ტოლად მაინც არის ინგლისს ასარგებლებდეს. მანჯურიის საქმეში მთავრობა აუცილებლობის კანონს უნდა დაემორჩილოს. გაზეთი დიდად გაკვირვებულია, რომ მთავრობა 1898 წლის საკითხს ხელ-ახლად უბრუნდება და ჰსურს გამოაბრუნოს ის, რაც ინგლისელებმა პორტ-არტურიდგან გამობრუნებით უარ ჰყვეს. მთავრობა უთუოდ ვერა კისრულობს გამოსთქვას, თუ გერმანიასთან შეთანხმებით რა ცოტა მოიგო და სცდილობს დაარწმუნოს ყველა, რომ გერმანია რუსეთის წინააღმდეგ დაეხმარება. და გერმანიასა და ინგლისს შორის-კი რა დამოკიდებულება არსებობს, ან რაზეა იგი დამყარებული, ეს ყველამ უწყის. საკმარისია, ინგლისმა დღევანდელი ომი თავიდგან როგორმე მოიცილოს და შემდეგ სრულიად დამშვიდებული იქმნება, მიზეზს არავის მისცემს, რომ მშვიდობიანობა დაარღვიოსო".

სასამართლოს მატიანე

წარსულ წელს ტფილისში ტფილისის გუბერნიის, თელავის მაზრის, სოფელ შილდის მცხოვრებ გლეხს მიხა იოსების ძე მიჩილაშვილს შეუმჩნევია მათე ყელტკოვი, როცა ამ უკანასკნელს თავი გაუყიდნია პოლიციის მე 8 ნაწილში და შერჩეულ დროს მიჰგვარდნია და ჯიბიდგან 5 მ. ამოუცლეჯია; ამ დროს ყელტკოვს ყვირილი მოუღიათ, მაგრამ მიჩილაშვილს უტაცნია ხელი ყელში გასაჩუმებლად; მალე ეს ამბავი სხვებსაც გაუგიათ, მისცვივნიან მიჩილაშვილს და იქვე დაუჭერიათ. ამის გამო პასუხის გებაში მიუცათ მიჩილაშვილი, რომლის საქმეც ტფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის პირველმა განყოფილებამ განიხილა ორშაბათს, 19 მარტს. ბრალდებულმა თავი დამნაშავედ არ იცნო. ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო მიხა მიჩილაშვილი აღნიშნულ ბრალდებაში და გარდაუწყვიტა ყოველისავე განსაკუთრებით მოპოვებულ უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და პატიმართა გამასწორებელ რაზმში ოთხის წლით გაგზავნა და საქმის საწარმოებელ ხარჯის გადახდა.

ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები.

ამას წინად იტალიის ქალაქ ლოდიში მომკვდარა ვიღაც ლუიჯი კორჩი, რომელსაც, ცოტა არ იყოს, უცნაური ანდერძი დაუტოვებია. ამ კაცს დარჩენია 80 ათასი ფრანკი ფულად. თუმცა მრავალი ნათესავი ჰყოლია, კორჩის თავისი შეძლება მაინც ადგილობრივ საქველ-მოქმედო საზოგადოებისათვის მიუცია, მაგრამ იმ პირობით-კი, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში ამ ფულიდგან 20 კარგ ყოფაქცევისა და წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილ კაცს სწორედ ჯვარის წერის დღეს დაურიგონ თითოს 195 ფრანკი. თავისი სახლი, 30 ათას მანეთად დაფასებული, უანდერძნია ბავშვთა სამხრუნველოსთვის იმ პირობით, რომ წელიწადში ორჯელ ამ ფულით ყმაწვილები გაასეირნონ ხოლმე იმ ადგილებში, რომლებსაც თვით აღნიშნავს ანდერძში. ანდერძის ბოლოში კორჩი სთხოვს მეგობრებს, ჩემი გვამი დასწვითო.

* *

ცნობილ იტალიელ მწერალს გაბრიელ დ'ანუნციოს ამას წინად მილანისა და გენუის თეატრებში წაუკითხნია თავისი ახალი პოემა „ჰარიბალდი". საზოგადოებას ძალიან მოსწონებია პოემა და ხანგრძლივის ტაშის ცემით დაუჯილდოვებია ავტორი. გაზეთებიც ძალიან აქებენ ახალ პოემას.

* *

როგორც ვუწყით, დღეს მტრედებს ბევრგანა სწვრთნიან წერილების დამტარებლებად. ამას წინად ათინაში ერთ ბერძენ მეცნიერს წაუკითხნია ლექცია, რომელშიაც ამტკიცებდა თურმე, რომ საფოსტო მტრედები ქრისტეს დაბადებამდინაც ჰყავდათო. როგორც ისტორიულ წყაროებიდგანა სჩანს, ოთხი საუკუნის წინად ქრისტეს დაბადებამდე კუნძულის ეგინის ერთი მცხოვრები, სახელად ტოროსფენი, ოლიმპიის თამაშობებზედ წასულა და გაუმარჯვნია კიდეც იქ. მამას შვილის გამარჯვების ამბავი იმავე დღეს საღამოთი გაუგია მტრედის წყალობით, რომელიც ტოროსფენს სახლიდგან თან წაუყვანია და გამარჯვების შემდეგ გაუშვია. ფეხზედ ამ მტრედისათვის პატარა წითელი ნიშანი მიუბავს.

* *

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, ფრანგთა შესანიშნავ მწერალს გიუ დე მოპასანს სამი უკანონოდ შობილი შვილი დარჩენია. მოპასანის შვილები დედასთან ერთად სამხრეთ საფრანგეთში სცხოვრობენ ერთ პროვინციალურ ქალაქში. მამის სურვილის თანახმად, შვილები ერიდებიან გართულ ცხოვრებას და ყველა იმას, რასაც ეგრე ძალიან ეტანებოდა იმათი მამა. მოპასანს არ უნდოდა, იმის შვილებსაც ისევე ეცხოვრათ, როგორც თვით იცხოვრა. სიკვდილის წინ წერილი მისწერა მოპასანმა ბავშვების დედას და ერთხელ კიდევ მოაგონა, შვილები საზოგადოებისაგან მოშორებით აღეზარდა; განსაკუთრებით მოაშორე ბავშვები ყველა იმას, რასაც ლიტერატურასთანა და ხელოვნებასთანა აქვს კავშირიო, სწერდა მამა. დედამ აასრულა მოპასანის სურვილი: ბავშვები იმ პატარა ქალაქს არ განშორებიან, სადაც დაიბადნენ. ვაჟი მოპასანი ბანკის მოხელეა, უფროსი ქალი-მკერავი, უმცროსი ჯერა სწავლობს, მაგრამ ისიც მკერაობას აპირობს თურმე. ამ რიგად მოპასანს გულითადი სურვილი აუსრულდა: არც ერთს იმის შვილს ლიტერატურასა და ხელოვნებასთან კავშირი არა აქვს.

* *

რამდენსამე ნემეცს, ბერლინიდგან რუსეთში მოსულს, აზრადა აქვთ მოსკოვში გახსნან მეტად ორიგინალური მაღაზია ამ სახელით: „მამაკაცთა სილამაზე". მაღაზიაში გაჰყიდიან სხვა და სხვა ნივთებს, მამაკაცთა გასალამაზებლად და გასაკოხტავებლად საჭიროს: კორსეტებს, გასამაღლებელ ქუსლებს და სხვას. ერთ გაზეთის თანამშრომელს გადაუთვალიერებია ამ მაღაზიის პრეისკურანტი და შემდეგი ამოუკითხნია: „აპოლლონის ბიუსტი" № 0, ღირს 30 მარკა; „აპოლლონის ბიუსტი № 00, ღირს 50 მარკა; „ჰერკულესის ბეჭები" № 4—20 მარკა და სხვა-და-სხვა. ნემეცებს იმედი აქვთ, რომ იმათ მაღაზიას მოსკოვში დიდძალი მუშტარი ამოუჩნდება, განსაკუთრებით აფიცერთა შორის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

19 მარტი.

პეტერბურგი. 19 მარტს მოვიდა საგანგებო დესპანი, რომელიც შესდგება ჰერცოგის ებერკორნისა, გენერალის არჩიბალდ ჰუტნერისა, პოლკოვნიკის კინტორისა, კაპიტანის მარკიზ ჰამილტონისა და ჟორჟ კლერკისა. დესპანმა უნდა აუწყოს რუსეთის საიმპერატორო სახლს მეფე ედუარდ VII-ის ინგლისის ტახტზედ ასვლის ამბავი.

კონსტანტინეპოლი. დილით მიწა იძრა. მიწის-ძვრამ რამდენსამე წამს გასტანა. დოლმბახჩში კურბანბაირანის დღესასწაულისა გამო ამ დროს ხელის კოცნის ცერემონია იყო; ცერემონია შეაჩერეს, მაგრამ სულთანმა უბრძანა განეგრძოთ. მაინც ბევრნი გავიდნენ ტაძრიდგან.

სოფია. სამხედრო მინისტრმა აუკრძალა იმ აფიცრებს, რომელნიც სამსახურში არიან, შეუერთდნენ მაკედონიის კომიტეტს. ვინც ამ ბრძანებას არ აასრულებს, ჯამაგირი მოესპობა და სამსახურიდგან დათხოვნილი იქმნება; უკვე დათხოვნილ იქმნა რამდენიმე აფიცერი, რომელნიც, ამ ბრძანების მიუხედავად, კომიტეტს შეუერთდნენ; სამოქალაქო უწყებასაც აზრადა აქვს გამოსცეს ამ ნაირი ბრძანება და სამოქალაქო მოხელეებს აუკრძალოს კომიტეტთან შეერთება.

ლონდონი. სალისბიური რჩება.

სოფია. მაკედონიის საპროვინციო კომიტეტის პროტესტის გამო კონგრესის გადადების წინააღმდეგ, ეს კონგრესი 22 მარტს შესდგება.

20 მარტი.

პეტერბურგი. დანიშნულ იქმნენ მე 3 ქვეითა დივიზიის უფროსი გენ.-ლეიტენანტი ვეისი — მე-15 კორპუსის უფროსად; იმიერ-კასპიის ოლქის უფროსი თურქესტანის კორპუსის კამანდირი გენერალ-ლეიტ. ბოგოლიუბოვი — მე 5 კორპუსის უფროსად.

შანჰაი. როგორც ისმის, ჩინეთის მთავრობას აზრადა აქვთ დანიშნოს პრინცი სა გარეშე საქმეთა მინისტრად, ხოლო პრინცი ცინი — მინისტრის ამხანაგად.

ბელგრადი. რადგანაც კონსტიტუცია უნდა შესცვალონ, საჭიროდ ხდება მინისტრ პრეზიდენტის შეცვლა, რადგანაც დღევანდელი მინისტრ-პრეზიდენტი როგორც უმაღლესი თანამდებობის კაცი არც ერთ დასთან არ არის დაახლოვებული.

წერილი რედაქციის მიმართ.

გულითადს მადლობას ვუძღვნი დ. ხობის დეპუტატებს ბ-ნთ პავლე ცქირიასა და გახუ ხვიჩიას, რომელთაც ფოთის საქალაქო სასწავლებლის მეოთხე კლასის მოსწავლე იაკობ ცქირაიას გაჭირვებაში მხურვალე კაცთ მოყვარული მონაწილეობა მიიღეს და სწავლის ფული შეუკრიბეს. დიდს მადლობას ვწირავ აგრეთვე შემომწირველთაც. აი სია შემომწირველთა: ბ. გაბრიელ ოქანეზოვმა 2 მან., აზ. გრიგოლ ლიფონავამ, ბ-ნთ პავლე ცქირიამ, გახუ ხვიჩიამ და თენგიზ კორტავამ — თითო მანეთი, აზ. ალექსანდრე კობახიძემ, ბ-ნთ მათე ქირიამ, ბესო გერგაიამ, გლახუა მიქავამ და ისიდორე ჩხეიძემ — ათ-ათი შაური; მაქსიმე ბარაშვილმა, ერასტი პააპკორიამ და ბეგლარ წურწუმიამ ორ ორი აბაზი; ისლამ რეკვავამ, ვლადიმერ ლატარიამ, ნესტორ იოსავამ, ალექსი ნოდიამ და დათიკო გოგორაშვილმა — ექვს ექვსი შაური; სოლომონ აბრამიამ, პეტრე გაგუიამ, ალექსი ბერიშვილმა, ფილიპე ქიქიძემ და კოხთა ესებუამ — თითო აბაზი; ევგენი ხოშტარიამ სამი შაური, სულ 12 მან 85 კ., რომელიც დანიშნულებისამებრ იაკობ ცქირიას გარდაეცა.

ხობის ორკლასიან ნორმალურ სკოლის ზედამხედველი ვლადიმერი გაგუა.

განცხადებანი

ვყიდულობ

ცოცხალ ჯანმრთელ ირმებს, ჯიხვებს, ჯეირნებს, დათვის ბელებს და სხვა მხეცებს; აგრეთვე ირმისა და ჯიხვის რქებსა და დათვის ტყავებს.

ადრესი: Новороссійскъ, „Зоологія".

საჭიროა აგენტები. (3—67.—3

პეტერბ. სამკურნალო გამგეობის ნება რთვით. დიდი კოლოფი ღირს 5 მან., პატარა კოლ. 3 მან. და 1 მ. 50 კაპ.



ახალი საშუალება

თმის გასაზრდელად და გასამაგრებლად, რომელიც აგრეთვე ქერტლსაც აქრობს. შემდეგ, გამოვიდა კიდევ ახალი საშუალება

„კვერცხის რძე"

სახის გასანაზებლად და გასათეთრებლად. „კვერცხის რძე" არჩენს მზისაგან დამწვარს კანს, სპობს მუწუკებს, არბილებს კანს. ფასი ყველასათვის ხელ-მისაწვდომია: დიდი ქილა — 2 მან; პატარა — 1 მან. 50 კაპ. იყიდება ყველა საპარფიუმერო და სააფთიაქო მაღაზიაში მთავარი საწყობი არის პეტერბურგში, პუშკინის ქუჩაზე №15, სადგ. 10. საწყობს განყოფილებანი აქვს ტფილისში — ერევნის მოედ. სააფთიაქო საქონლის სავაჭრო ამხანაგობაში და ბაქოში. იყიდება აგრეთვე ხიდზედ პოპოვისა და არისტაკოვის სააფთიაქო მაღაზიაში.

ქალაქ გარედ მცხოვრებთ დაუყოვნებლივ ფოსტით გავგზავნებათ. (100—211—45)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Марта 1901 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.